



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N069/11<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*ენვერი აბულაძე (სტუდენტი)*

### **ფაქტები:**

ეთიკის კომისიას ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მიმართა ორმა ადვოკატმა. საჩივრის ავტორები გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე იცავდნენ ბრალდებულის უფლებებს. საჩივრის ავტორებმა სასამართლოში საპროცესო შეთანხმებაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატს დაუკავშირდნენ ჟურნალისტები და სთხოვეს ინტერვიუს ჩაწერა. ადვოკატმა ინტერვიუში კოლეგების გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც „პოლიტიკური საქმიანობა და მოღვაწეობა“. ადვოკატმა ინტერვიუში ასევე გააკეთა შემდეგი კომენტარები „ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას აწარმოებენ, როგორც ადვოკატები რეალურად აკეთებენ განცხადებებს ან აკეთებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უფრო შეიძლება შეფასდეს პოლიტიკური საქმიანობისა და მოღვაწეობის ჭრილში. ადვოკატების ეთიკის კოდექსის მთავარი ფუნქციონალური პრინციპი არის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, რაც ჩემი მოკრძალებული აზრით კონკრეტულ შემთხვევაში რამოდენიმე ადვოკატმა დაარღვია“, „ვთვლი, რომ ის ფაქტი, რომ ეთიკის კომისიაში შეიტანს საჩივარს და წინასწარ ახმაურებს ამ ფაქტს ზუსტად იგივე ტენდენციის გამომხატველია, რომ მისთვის ეს არის პოლიტიკური და სხვა ინტერესების პრიორიტეტი და არა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა“. ადვოკატს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან არანაირი შეხება არ ჰქონია გარდა ტელევიზიით მიღებული ინფორმაციისა.

### **პროცესუალური ისტორია:**

საპროცესო კოლეგიამ არ აღძრა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, რადგან არ არსებობდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

### **სამართლებრივი შეფასება:**

საჩივრის ავტორთა პრეტენზია გამოიხატა ადვოკატის მიერ სატელევიზიო კომენტარებში გამოთქმულ მოსაზრებებში, რომ ისინი არღვევდნენ ნდობისა და კოლეგიალობის პრინციპს. ნდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვის ვალდებულება ადვოკატს გააჩნია კლიენტთან ურთიერთობისას და ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა კოლეგიალობის დარღვევის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა შორის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რომელთა მიმართაც მათ პროფესია აკისრებს. ადვოკატმა საჯარო განცხადებების გაკეთების დროს უნდა დაიცვას ინფორმაციის სისწორე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან ადგილი არ ჰქონია არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, ვინაიდან მისი კომენტარები წარმოადგენდა

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c4c40ae554a0.pdf/5c4c40ae554a0.pdf>

შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებაზე.

ეთიკის კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნა ასევე იმ სიუჟეტთა შინაარსი, რომლითაც გავრცელდა ადვოკატის კომენტარები. ადვოკატის განცხადებები ეხმიანებოდა იმ სიუჟეტების პათოსს, რომელიც მომზადდა ნაციონალურ არხებზე და აშკარად ატარებდა ხელისუფლების მხრიდან საჩივრის ავტორთა კრიტიკის და გაკიცხვის სურვილს. თუმცა, ადვოკატის კომენტარი უნდა შეფასდეს სიუჟეტებისაგან დამოუკიდებლად, ვინაიდან ადვოკატი პასუხისმგებელია მის მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე და არა იმ სიუჟეტების შინაარსზე, რომლითაც გავრცელდა მისი კომენტარი.

განცხადებით: „ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას აწარმოებენ, როგორც ადვოკატები რეალურად აკეთებენ განცხადებებს ან აკეთებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უფრო შეიძლება შეფასდეს პოლიტიკური საქმიანობისა და მოღვაწეობის ჭრილში“, ადვოკატი „პოლიტიკურ საქმიანობად და მოღვაწეობად“ აფასებს არა საჩივრის ავტორთა მიერ ამ კონკრეტული საპროცესო შეთხმების ხელმოწერა-არხელმოწერის ფაქტს, არამედ საჩივრის ავტორთა იმ ქმედებებსა და განცხადებებს, რაც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მათი მხრიდან საჯაროდ კეთდებოდა.

ეთიკის კომისიის მიერ ასევე გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი, რომ საქმე ეხებოდა გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს, ხოლო როდესაც საქმე ეხება მსგავს, საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს, აზრის თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ხოლო მისი შეზღუდვისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი. ადვოკატებს გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტი აქვთ, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ იურიდიული პროფესიის სხვა პირების მიმართაც. ადვოკატის მიერ ახსნილი იქნა გამოთქმული მოსაზრებების შინაარსი და წინაპირობები, ასევე ის გარემოება, რომ სატელევიზიო კომენტარების გაკეთებისას ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა საკუთარი მოსაზრების გამოთქმა სარჩელის ავტორის საჯარო მოწოდებებთან დაკავშირებით და არა კოლეგის შეურაცხყოფა. სატელევიზიო კომენტარებში გაკეთებული განცხადებები კრიტიკული შინაარსისაა, თუმცა არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. კომენტარის შინაარსი უნდა შეფასდეს ერთობლიობასი და არა კომენტარიდან ამონარიდი ცალკეული ფრაზებიდან გამომდინარე. ასევე, კომენტარი კრიტიკული განცხადების გარდა, გამოხატულია თავაზიან ფორმაში. შესაძლოა სატელევიზიო კომენტარში მოცემული განცხადებები არ იყოს მოსაწონი და მისაღები იმ ადვოკატათვის, ვის მიმართაც ის არის მიმართული, მაგრამ ეს კომენტარები არ არის შემურაცხოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ გაკეთებული კომენტარი არ წარმოადგენს მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს, რადგან აღნიშნული კომენტარები არ არის უხამსი, არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალის ნორმებს და მიზნად არ ისახავს კოლეგების ღირსების შელახვას. ადვოკატის სატელევიზიო კომენტარებში მოცემული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით გამოხატვის თავისუფლების თავისუფლებიდან გამომდინარე და ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

**დასკვნა:**

ეთიკის კომისიამ ვერ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევა და საჩივრის ავტორს უარი ეთქვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური ღეგნის აღძვრაზე.

**განსხვავებული (ნაწილობრივ თანმხვედრი) აზრი:**

ნდობისა და დამოუკიდებლობის დაცვის ვალდებულება არ დარღვეულა, ვინაიდან ეს ვალდებულებანი ადვოკატს გააჩნია კლიენტთან ურთიერთობისას და ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, შესაბამისად ადვოკატი ვერ დაარღვევდა მათ.

კოლეგიალობის პრინციპს რაც შეეხება, ადვოკატის კომენტარები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზები. იგი უნდა იქნეს განხილული და შეფასებული კომენტარის გაკეთების დროისათვის არსებული საერთო სურათით.